გამოკითხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს-კომპანიების შესახებ
2017

კითხვარი

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> მიესალმეთ ოჯახის წევრს, რომელმაც კარი გაგიღოთ, ქართულ ენაზე. თუ მან არ გიპასუხათ ქართულად, სცადეთ სომხური ან აზერბაიჯანული, თუ ეს ენები გამოიყენება თქვენს კლასტერში. თუ ოჯახის წევრი ვერ გიპასუხებთ ვერცერთ ენაზე, შეიყვანეთ შესაბამისი ინფორმაცია **ინტერვიუერის ფორმაში** და დაემშვიდობეთ მას.]

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> დარწმუნდით, რომ ესაუბრებით შინამეურნეობის ზრდასრულ წევრს (18 წლის ან უფროსი). დაიმახსოვრეთ შემდეგი ტექსტი და მიმართეთ ოჯახის წევრს იმავე ენაზე, რომელზეც იგი გამოგესაუბრათ. თუ შინამეურნეობის წევრი უარს იტყვის გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, შეიყვანეთ შესაბამისი ინფორმაცია **ინტერვიუერის ფორმაში**.]

გამარჯობა! ჩემი სახელია */სახელი და გვარი/*. **მე გახლავართ კვლევითი ცენტრის, სი-არ-არ-სი საქართველოს წარმომადგენელი. ეს არის დამოუკიდებელი, არაკომერციული კვლევითი ცენტრი. ჩვენ ვატარებთ საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვას საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ და, თუ ნებას მომცემთ, ჩავატარებ ინტერვიუს თქვენი ოჯახის წევრთან, რათა უკეთ შევისწავლოთ ხალხის**

შეხედულებები. თქვენი ოჯახი შეირჩა შემთხვევითი წესით ისევე, როგორც რამდენიმე ათასი სხვა ოჯახი საქართველოში. კვლევის შედეგების სანდოობა დამოკიდებულია თქვენს თანხმობაზე, მონაწილეობა მიიღოთ ამ გამოკითხვაში.

გამოკითხვაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ყველა პასუხის კონფიდენციალობა სრულად იქნება უზრუნველყოფილი. თქვენი ოჯახის წევრის ვინაობა არ დაუკავშირდება მის მიერ გაცემულ პასუხებს; ასევე, კონფიდენციალურად იქნება შენახული თქვენი მისამართი. ჩვენი ორგანიზაციის სახელით გთხოვთ, დაგვეხმაროთ უკეთ გავიგოთ, თუ რას ფიქრობს ხალხი საქართველოში.

ეს ინტერვიუ დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდება. თქვენი დახმარებით შევარჩევ თქვენი ოჯახის იმ სრულწლოვან წევრს, რომელიც უნდა გამოვკითხო. ეს შერჩევა სპეციალური პროცედურის მეშვეობით უნდა მოხდეს, რომელიც შერჩევის შემთხვევითობას უზრუნველყოფს. ამ პროცედურის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია.

მოდით, ვისაუბროთ თქვენი ოჯახის შესახებ. „ოჯახში" ჩვენ ვგულისხმობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამჟამად უმეტესად თქვენთან ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად მათი ოფიციალური საცხოვრებელი ადგილისა, და აქვთ საზიარო შემოსავალი და ხარჯები. გთხოვთ, ვისაუბროთ თქვენი ოჯახის <u>მხოლოდ</u> იმ წევრებზე, რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად ცხოვრობენ და კვირაში 4 ღამეს მაინც ატარებენ ამ სახლში.

V4. გთხოვთ, მითხრათ, ამ განმარტების თანახმად, რამდენი ადამიანი ცხოვრობს ამჟამად თქვენს ოჯახში, <u>თქვენი ჩათვლით</u>?

|_____|_____| ადამიანი

(არ ვიცი)	-1	არგამოპა-
(უარი პასუხზე)	-2	სუხება

V5. მათ შორის, რამდენი სრულწლოვანი ადამიანი (18 წლის ან უფროსი) ცხოვრობს ამჟამად თქვენს ოჯახში, <u>თქვენი ჩათვლით</u>?

|_____|_____| სრულწლოვანი ადამიანი

(არ ვიცი)	-1	არგამოპა-
(უარი პასუხზე)	-2	სუხება

V6. **გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის წევრი <u>ყველა სრულწლოვანი მამაკაცის</u> ასაკი ყველაზე უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე. დიდი მადლობა!**

V7. **ახლა გთხოვთ, ჩამოთვალოთ თქვენი ოჯახის წევრი <u>ყველა სრულწლოვანი ქალის</u> ასაკი ყველაზე უფროსიდან ყველაზე უმცროსამდე. დიდი მადლობა!**

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> თუ ოჯახში 6-ზე მეტი სრულწლოვანი წევრია, მოუსმინეთ ოჯახის წევრს ყველა მათგანის შესახებ, მაგრამ ჩაწერეთ ინფორმაცია <u>**მხოლოდ** ოჯახის 6 წევრის შესახებ</u>.]

[<u>**შენიშვნა**</u>: კომპიუტერული პროგრამა შეარჩევს რესპონდენტს კიშის ცხრილის გამოყენებით.]

თქვენი ოჯახის წევრი, რომელსაც უნდა ვესაუბრო, არის [ოჯახის შერჩეული წევრის სახელი, სქესი და ასაკი]	_____
შეიძლება ვესაუბრო მას ახლა?	
თუ „დიახ“:	დაიწყეთ ინტერვიუ, თუ ოჯახის შერჩეული წევრი ადგილზეა და მასთან საუბარი შესაძლებელია. სხვა შემთხვევაში შეათანხმეთ თქვენი მეორე/მესამე ვიზიტის დრო.
თუ „არა“:	**დიდი მადლობა! → არგამოპასუხება.** ჩაწერეთ ეს ინფორმაცია **ინტერვიუერის ფორმაში** და წამოდით.
[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> თქვენ **არ გაქვთ უფლება**, ჩაატაროთ ინტერვიუ ოჯახის ნებისმიერ სხვა წევრთან!]	

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> თუ ოჯახის შერჩეული წევრი არ არის სახლში და არ დაბრუნდება საველე სამუშაოების პერიოდში, მადლობა გადაუხადეთ ოჯახის წევრს და დააფიქსირეთ არგამოპასუხება **ინტერვიუერის ფორმაში**.]

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> თუ ოჯახის შერჩეულმა წევრმა უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე, მადლობა გადაუხადეთ მას/ოჯახის წევრს და დააფიქსირეთ არგამოპასუხება **ინტერვიუერის ფორმაში**.]

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ!**</u> თუ კლასტერში ერთზე მეტი ენა გამოიყენება, დაუსვით კითხვა **L1** იმავე ენაზე, რომელზეც რესპონდენტი მოგესალმათ. თუ კლასტერში გამოიყენება მხოლოდ ერთი ენა და თქვენ დარწმუნდით, რომ რესპონდენტმა კარგად იცის ეს ენა, დაიწყეთ ინტერვიუ კითხვა **L1**-ის დასმის <u>გარეშე</u>.]

L1. **რა ენაზე ისურვებდით ამ ინტერვიუს ჩატარებას?** [წაუკითხეთ]

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** წაიკითხეთ მხოლოდ ის ენები, რომლებიც გამოიყენება ამ კლასტერში.]

სომხურად,	1	
აზერბაიჯანულად,	2	
თუ ქართულად?	3	
(ამ ენებიდან არცერთი)		ჩაწერეთ შესაბამისი კოდი **ინტერვიუერის ფორმაში.**
სხვა ენა: _____	4	
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** თუ რესპონდენტი არცერთ ენას არ აარჩევს, უნდა დაფიქსირდეს არგამოპასუხება. თუ შეძლებთ ამის დადგენას, მიუთითეთ ის ენა, რომელზეც რესპონდენტს სურდა ინტერვიუს ჩატარება („*სხვა ენა*“ კითხვაში **L1**). მადლობა გადაუხადეთ რესპონდენტს, დააფიქსირეთ არგამოპასუხება **ინტერვიუერის ფორმაში** და დაემშვიდობეთ მას.]

[**ინტერვიუერის საყურადღებოდ!** მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს ენას, დაიწყეთ კითხვარის შევსება შესაბამის ენაზე.]

T1. **ინტერვიუს თარიღი**: |____|____| |____|____|

თარიღი თვე

T2. **ინტერვიუს დაწყების დრო**: |____|____| |____|____|

საათი წუთი

1. **გთხოვთ, მითხრათ, ბოლო 2 წლის განმავლობაში ...**

		დიახ	არა	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1.	**დაესწარით თუ არა საჯარო შეხვედრას?** [<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! იგულისხმება მოსახლეობის შეკრება საზოგადოებისთვის ან ამა თუ იმ თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხების/პრობლემების განხილვის მიზნით.]	1	0	-1	-2
2.	**გაუკეთეთ თუ არა ორგანიზება საჯარო შეხვედრას?**	1	0	-1	-2
3.	**მიიღეთ თუ არა მონაწილეობა საზოგადოებრივი სივრცის, მაგალითად, სადარბაზოს, სკოლის ან ეკლესიის ეზოს დასუფთავებაში?**	1	0	-1	-2
4.	**დარგეთ თუ არა ხე საკუთარი ეზოს ან ნაკვეთის ფარგლებს გარეთ?**	1	0	-1	-2
5.	**მოაწერეთ თუ არა ხელი კოლექტიურ წერილს ან პეტიციას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხის მოგვარების მოთხოვნით?**	1	0	-1	-2
6.	**წამოიწყეთ თუ არა ხელმოწერების შეგროვების კამპანია ან პეტიცია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხის მოგვარების მოთხოვნით?**	1	0	-1	-2
7.	**მიიღეთ თუ არა მონაწილეობა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში ან სხვა ღონისძიებაში?**	1	0	-1	-2
8.	**მოვიდა თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი თქვენს სახლში ან სამსახურში?**	1	0	-1	-2

9.	დარეკეთ ან მიხვედით თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისში?	1	0	-1	-2
10.	დარეკეთ ან მიხვედით თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს ოფისში?	1	0	-1	-2

2. [ბარათი 2] ახლა დაგისახელებთ რამდენიმე სოციალურ ინსტიტუტს და პოლიტიკურ გაერთიანებას. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ ამ ბარათის მეშვეობით. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით ...

		კოდი	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	საქართველოს ჯარს?	|____|____|	-1	-2
2	საქართველოს სასამართლოებს?	|____|____|	-1	-2
3	არასამთავრობო ორგანიზაციებს?	|____|____|	-1	-2
4	საქართველოს პრეზიდენტს?	|____|____|	-1	-2
5	საქართველოს პრემიერ-მინისტრს?	|____|____|	-1	-2
6	საქართველოს პარლამენტს?	|____|____|	-1	-2
7	პოლიტიკურ პარტიებს?	|____|____|	-1	-2
8	საპატრულო პოლიციას?	|____|____|	-1	-2
9	ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს?	|____|____|	-1	-2
10	თქვენი რელიგიური აღმსარებლობის ინსტიტუტებს?	|____|____|	-1	-2
11	ევროკავშირს?	|____|____|	-1	-2
12	ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირს, რომელიც დაარსებულია რუსეთის მიერ?	|____|____|	-1	-2

3. [ბარათი 3] **ახლა ჩამოგითვლით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს. თქვენი აზრით, ამ ბარათზე მოყვანილთაგან, ყველაზე უკეთ ვინ შეძლებს თითოეული ამ საკითხის მოგვარებას საქართველოში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი.]

		კოდი	*(ვერავინ)*	*(მოგვარებულია / არ სჭირდება მოგვარება)*	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	**ადამიანის უფლებების დაცვა**	|___|	-4	-5	-1	-2
2	**კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**	|___|	-4	-5	-1	-2
3	**ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა**	|___|	-4	-5	-1	-2
4	**უმუშევართა დასაქმება**	|___|	-4	-5	-1	-2
5	**დასაქმებულთა უფლებების დაცვა**	|___|	-4	-5	-1	-2
6	**კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა**	|___|	-4	-5	-1	-2
7	**გარემოს დაცვა**	|___|	-4	-5	-1	-2
8	**გზების რეაბილიტაცია, ახალი გზების მშენებლობა**	|___|	-4	-5	-1	-2
9	**სოციალურად დაუცველთა დახმარება**	|___|	-4	-5	-1	-2
10	**სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება**	|___|	-4	-5	-1	-2

4. თქვენი აზრით, საქართველოში ცხოვრება გაუმჯობესდება თუ არა იმ შემთხვევაში, თუ ...

		გაუმჯობესდება	*არ გაუმჯობესდება*	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	... ხალხი მონაწილეობას მიიღებს საპროტესტო აქციებში?	1	0	-1	-2
2	... ხალხი გამოიჩენს ინიციატივას არსებული პრობლემების მოგვარებისას, მაგალითად, მოითხოვს ახალი გზების მშენებლობას?	1	0	-1	-2
3	... ხალხი ჩაერთვება პოლიტიკური პარტიების საქმიანობაში?	1	0	-1	-2
4	... ხალხი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში?	1	0	-1	-2
5	... ხალხი უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივ არჩევნებში?	1	0	-1	-2
6	... ხალხი ჩაერთვება არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობაში?	1	0	-1	-2

5. [ბარათი 5] **გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: „**თქვენ სრულად ეთანხმებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?**“ მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი.]

<u>მოსაზრება 1:</u> **ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა.**		<u>მოსაზრება 2:</u> **ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ქვეყანაში.**	
სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	*ვეთანხმები პირველ მოსაზრებას*	*ვეთანხმები მეორე მოსაზრებას*	*სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას*
1	2	3	4
[**არ წაუკითხოთ!**] *არცერთს არ ვეთანხმები*		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

6. **ხართ თუ არა ამჟამად რომელიმე გაერთიანების, კლუბის, ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრი? ეს შეიძლება იყოს წიგნების მოყვარულთა კლუბი, თეატრის, ცეკვის ან სპორტის მოყვარულთა გაერთიანება, ან ონლაინ გაერთიანება, რომელთა წევრებსაც საერთო ინტერესები გააჩნიათ.**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ იგულისხმება პროფესიული გაერთიანების წევრობა, მაგალითად, სტომატოლოგთა ასოციაციის. გვაინტერესებს, იღებს თუ არა რესპონდენტი მონაწილეობას გაერთიანების საქმიანობაში, მიუხედავად იმისა, ოფიციალურია თუ არა მისი წევრობა.]

დიახ	1	
არა	0	გადადით კითხვაზე 10
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

7. [ბარათი 7, როტაცია] **რა იყო <u>მთავარი</u> მიზეზი, რის გამოც თქვენ ამ გაერთიანების ან ორგანიზაციის წევრი გახდით?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი. თუ რესპონდენტი რამდენიმე ორგანიზაციის/გაერთიანების წევრია, დაუსვით ეს კითხვა მხოლოდ ერთი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანების შესახებ.]

ეს მეხმარება სასარგებლო კავშირების დამყარებაში	1
ჩემი მეგობრები არიან ამ ორგანიზაციის წევრები	2
მჯერა, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებ საქართველოსთვის	3
ეს საშუალებას მაძლევს, შევიძინო სასარგებლო გამოცდილება	4
ეს კარგია ჩემი რეპუტაციისთვის	5
საკითხები, რომლებზეც ეს ორგანიზაცია მუშაობს, პირდაპირ მეხება მე/ჩემს ოჯახს	6
გართობის მიზნით გავწევრიანდი	7
პერიოდულად გარკვეულ შემოსავალს ვიღებ	8
სხვა	9
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

8. **გთხოვთ მითხრათ, იღებთ თუ არა ფულად შემოსავალს ამ ორგანიზაციიდან?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! საუბარია ნებისმიერი ოდენობის ფულად შემოსავალზე, რომელსაც რესპონდენტი ნებისმიერი პერიოდულობით იღებს. თუ რესპონდენტი რამდენიმე ორგანიზაციის/გაერთიანების წევრია, დაუსვით ეს კითხვა მხოლოდ ერთი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზაციის შესახებ.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

9. **მიგიღიათ თუ არა ოდესმე არაფულადი წახალისება ამ ორგანიზაციისგან, მაგალითად, მოგზაურობა, ექსკურსია, საჩუქარი?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! თუ რესპონდენტი რამდენიმე ორგანიზაციის/გაერთიანების წევრია, დაუსვით ეს კითხვა მხოლოდ ერთი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გაერთიანების შესახებ.]

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

10. **მიუხედავად იმისა, ხართ თუ არა ამჟამად რომელიმე გაერთიანების, კლუბის, ორგანიზაციის ან ასოციაციის წევრი, გაწევრიანდებოდით თუ არა აგრეთვე ისეთ ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარი ინიციატივით იმუშავებს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! საუბარია გაწევრიანებაზე, რომელიც იქნება მოხალისეობრივ საწყისებზე. ეს ორგანიზაცია ან მისი საქმიანობა არ უნდა წარმოადგენდეს რესპონდენტის შემოსავლის წყაროს!]

დიახ	1	გადადით კითხვაზე 12
არა	0	
(არ ვიცი)	-1	გადადით კითხვაზე 12
(უარი პასუხზე)	-2	

11. **რა არის მთავარი მიზეზი, თუ რატომ არ გაწევრიანდებოდით ასეთ ორგანიზაციაში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მხოლოდ ერთი პასუხი.]

მირჩევია ჩემს / ჩემი ოჯახის საქმეებს მივხედო	1
ეს დროის ფლანგვად მიმაჩნია	2
არ მჯერა, რომ ასეთი ორგანიზაციები მართლა არსებობს	3
არ ვენდობი იმ ხალხს, ვინც ასეთ ორგანიზაციებშია გაწევრიანებული	4
ასეთ ორგანიზაციაში წევრობა სარგებელს ვერ მომიტანს	5
მე მაინც ვერაფერს შევცვლი	6
ასეთი ორგანიზაციები იგივეს აკეთებენ, რასაც ხელისუფლება	7
არ ვიცი, როგორ დავუკავშირდე ასეთ ორგანიზაციებს	8
არ ვიცი, როგორ უნდა ვიბრძოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად	9
არ მაქვს დრო	10
ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (მაგალითად, ხელს არ მიწყობს მხედველობა)	11
სხვა	12
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

12. **გახდებოდით თუ არა ისეთი ორგანიზაციის ან გაერთიანების წევრი, რომელიც თქვენს ქალაქში/სოფელში გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმუშავებს?**

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

13. **და გახდებოდით თუ არა ისეთი ორგანიზაციის ან გაერთიანების წევრი, რომელიც იმუშავებს საქართველოში საკვები პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?**

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

14. **ახლა დაგისახელებთ რამდენიმე ორგანიზაციას. გთხოვთ, მითხრათ, არის თუ არა ის არასამთავრობო ორგანიზაცია. თუ რომელიმე ორგანიზაციის შესახებ არ გსმენიათ, მითხარით, რომ არ გსმენიათ ამ ორგანიზაციის შესახებ.**

		არის არასამთავრობო ორგანიზაცია	არ არის არასამთავრობო ორგანიზაცია	არასდროს მსმენია	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, USAID	1	2	3	-1	-2
2	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	1	2	3	-1	-2
3	საქართველოს პარლამენტი	1	2	3	-1	-2
4	ლეიბორისტული პარტია	1	2	3	-1	-2
5	ალდაგი	1	2	3	-1	-2
6	უმუშევარ ხალხთა ასოციაცია	1	2	3	-1	-2
7	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო	1	2	3	-1	-2
8	რუსთავი-2	1	2	3	-1	-2
9	ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო“	1	2	3	-1	-2
10	წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება	1	2	3	-1	-2

15. **ყველაზე ხშირად, რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ?**

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ არა უმეტეს სამი პასუხისა.]

1	ტელევიზიით	გადასვლა კითხვაზე 17
2	ინტერნეტით, სოციალური ქსელების გარდა	
3	სოციალური ქსელების მეშვეობით (მაგ., ფეისბუქი)	
4	რადიოთი	გადასვლა კითხვაზე 17
5	გაზეთებიდან	
6	ნაცნობებისგან	
7	თავად არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლებისგან	
8	სხვა	
-5	*(ინფორმაციას არ ვიღებ)*	
-1	*(არ ვიცი)*	
-2	*(უარი პასუხზე)*	

16. **კერძოდ, რომელი სოციალური ქსელების მეშვეობით იღებთ ინფორმაციას საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ყველაზე ხშირად?**

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ ყველა პასუხი.]

Instagram	1
Facebook	2
Twitter	3
Одноклассники	4
სხვა	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

17. [ბარათი 17, როტაცია] **თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რას უნდა აკეთებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არა უმეტეს ორი პასუხისა.]

უნდა აკონტროლებდნენ მთავრობის მუშაობას	1
უნდა იცავდნენ მოქალაქეთა უფლებებს	2
უნდა უზრუნველყონ არჩევნების სამართლიანობა	3
უნდა გაუწიონ მოქალაქეებს უფასო იურიდიული დახმარება	4
უნდა აკონტროლებდნენ ბიზნეს-კომპანიების მუშაობას	5
უნდა ეწეოდნენ ქველმოქმედებას	6
უნდა მოაწყონ შეხვედრები მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის	7
უნდა გაუწიონ მოქალაქეებს კონსულტაციები მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების გზების შესახებ	8
უნდა გაუწიონ მოქალაქეებს მომსახურება, მაგალითად, პროფესიული სწავლება, ტრეინინგები და სხვა	9
სხვა	10
(არაფერი)	-4
(არასამთავრობო ორგანიზაციები არ უნდა არსებობდნენ)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

18. **რეალურად, რას აკეთებენ ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ ყველა პასუხი.]

აკონტროლებენ მთავრობის მუშაობას	1
იცავენ მოქალაქეთა უფლებებს	2
უზრუნველყოფენ არჩევნების სამართლიანობას	3
უფასო იურიდულ დახმარებას უწევენ მოქალაქეებს	4
აკონტროლებენ ბიზნეს-კომპანიების მუშაობას	5
ეწევიან ქველმოქმედებას	6
აწყობენ შეხვედრებს მოქალაქეებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის	7
უწევენ მოქალაქეებს კონსულტაციებს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების გზების შესახებ	8
უწევენ მოქალაქეებს მომსახურებას, მაგალითად, პროფესიული სწავლება, ტრეინინგები და სხვა	9
იღებენ გრანტებს საკუთარი წევრების კეთილდღეობასთვის	10
სხვა	11
არაფერს	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

19. **როგორ შეაფასებდით არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენას საქართველოს განვითარებაზე? თქვენი აზრით, ეს გავლენა ამჟამად ...** [წაუკითხეთ]

ცალსახად დადებითია	1
ძირითადად დადებითია	2
ძირითადად უარყოფითია	3
თუ ცალსახად უარყოფითია?	4
[<u>არ წაუკითხოთ</u>!] *(არანაირი გავლენა)*	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

20. [ბარათი 20, როტაცია] **თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, რა მიზანი ამოძრავებს არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებს საქართველოში ამჟამად?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი.]

დაეხმარონ საქართველოს მოსახლეობას მის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებაში	1
ხელი შეუწყონ საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში	2
ხელი შეუწყონ საქართველოს გაწევრიანებას ნატოში	3
დაიცვან ადამიანის უფლებები საქართველოში	4
დაიცვან ხელისუფლების ინტერესები	5
დაიცვან ოპოზიციის ინტერესები	6
დაიცვან თავისი უცხოელი დამფინანსებლების ინტერესები საქართველოში	7
მიიღონ დაფინანსება, გრანტები	8
ხელი შეუწყონ დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას საქართველოში	9
უზრუნველყონ სამართლიანობა საქართველოში	10
სხვა	11
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

21. **თქვენი აზრით, ძირითადად, იცავენ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ...** [წაუკითხეთ]

		დიახ	ნაწილობრივ	არა	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	**თქვენნაირი ხალხის ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2
2	**ქართულ ტრადიციებს?**	1	2	3	-1	-2
3	**არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე ხალხის ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2
4	**ხელისუფლების ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2
5	**ოპოზიციის ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2
6	**ამერიკის ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2
7	**ევროკავშირის ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2
8	**რუსეთის ინტერესებს?**	1	2	3	-1	-2

22. [ბარათი 22, როტაცია] **თქვენი აზრით, ამჟამად საქართველოში როგორი ადამიანები არიან ყველაზე აქტიურები არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არა უმეტეს <u>ორი</u> პასუხისა.]

ვინც იცის ინგლისური და კომპიუტერი	1	
ვისაც ჩემნაირი ადამიანების დახმარება სურს	2	
„გრანტიჭამიები“	3	
ვინც ქვეყანაში მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობს	4	
ოპოზიციის მხარდამჭერები	5	
მთავრობის მხარდამჭერები	6	
,,არამკითხე მოამბეები”	7	
ვისაც საკუთარი პრობლემების მოგვარება უნდა	8	
კარიერისტები	9	
თანამედროვე კომკავშირელები	10	
ინტრიგნები	11	
სხვა	12	
არავითარი შეხება არ მაქვს ასეთ ხალხთან	-5	გადასვლა კითხვაზე 24
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

23. [ბარათი 23] **რამდენად ენდობით ან არ ენდობით ადამიანს, რომელიც აქტიურადაა ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში?**

საერთოდ არ ვენდობი	1
ძირითადად არ ვენდობი	2
ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ - არა	3
ძირითადად ვენდობი	4
სრულად ვენდობი	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

24. **იცნობთ თუ არა პირადად ვინმეს, ვისაც არასამთავრობო ორგანიზაცია დაეხმარა საქართველოში?**

დიახ	1
არა	0
(მე დამეხმარა)	-4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

25. **თქვენი აზრით, სად უფრო მეტი სარგებელი მოაქვს თქვენნაირი ადამიანებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობას - თბილისში თუ რეგიონებში?**

თბილისში	1
რეგიონებში	2
[**არ წაუკითხოთ!**] *(თბილისშიც და რეგიონებშიც ერთნაირად მოაქვს სარგებელი)*	-4
[**არ წაუკითხოთ!**] *არც თბილისში და არც რეგიონებში*	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

26. **თქვენი აზრით, ვინ იღებს ყველაზე მეტ სარგებელს არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობის შედეგად საქართველოში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. არაუმეტეს <u>ორი</u> პასუხისა.]

	(არ ვიცი)	-1
	(უარი პასუხზე)	-2
	არავინ	-4
	ყველა	-5
1	მეწარმეები	
2	პოლიტიკოსები, მაღალჩინოსნები	
3	მდიდრები	
4	რიგითი, ჩვეულებრივი ადამიანები	
5	თავად არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები	
6	დამფინანსებლები, დამკვეთები	
7	სხვა (გთხოვთ, დაასახელეთ:) _____	

27. [ბარათი 27, როტაცია] **თქვენი აზრით, რომელ სფეროებში უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს მთავრობა არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიციას?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მიიღეთ მაქსიმუმ 3 პასუხი.]

	(არ ვიცი)	-1
	(უარი პასუხზე)	-2
	არცერთ სფეროში	-4
	ყველა სფეროში	-5
1	განათლება / მეცნიერება	
2	სოციალური დაცვა	
3	ჯანმრთელობის დაცვა	
4	ახალგაზრდობა	
5	კულტურა / სპორტი	
6	ადამიანის უფლებების დაცვა / უმცირესობების უფლებები	
7	სამოქალაქო საზოგადოების განვითარება	
8	დემოკრატია / კარგი მმართველობა / სამართლის უზენაესობა / არჩევნები	
9	ეკონომიკა / მეწარმეობა / ტურიზმი / დასაქმება	
10	სოფლის მეურნეობა	
11	მედია	
12	ეკოლოგია / გარემოს დაცვა	
13	კონფლიქტების მოგვარება / დევნილთა საკითხები	
14	საგარეო პოლიტიკა / ევროპული ინტეგრაცია / უსაფრთხოების პოლიტიკა	
15	სხვა: (გთხოვთ, მიუთითოთ:) _____	

28. [ბარათი 28] **საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა „შაბათობა“, რომლის დროსაც მთავრობის ინიციატივით ყველა ერთად ასუფთავებდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. რას ფიქრობთ დღეს საქართველოში მსგავსი ღონისძიებების შესახებ? გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: „**თქვენ სრულად ეთანხმებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?**“ მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი.]

<u>მოსაზრება 1:</u> **კიდევ კარგი, ხელისუფლება მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას არ გვავალდებულებს.**		<u>მოსაზრება 2:</u> **საქართველოში უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, ხელისუფლება მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობას რომ გვავალდებულებდეს.**	
სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	*ვეთანხმები პირველ მოსაზრებას*	*ვეთანხმები მეორე მოსაზრებას*	*სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას*
1	2	3	4
[**არ წაუკითხოთ!**] *არცერთს არ ვეთანხმები*		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

29. **თქვენი აზრით, ძირითადად ვინ აფინანსებს ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი.]

საქართველოს მთავრობა	1
ოპოზიცია	2
ქართველი ბიზნესმენები	3
უცხოელი ბიზნესმენები	4
ჩვეულებრივი მოქალაქეები	5
უცხოეთი	6
ამერიკა	7
ევროკავშირი	8
რუსეთი	9
საერთაშორისო ორგანიზაციები	10
თვითონ არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზაციების წევრები	11
სხვა *(ჩაწერეთ)* _____	12
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

30. **და ვინ <u>უნდა</u> აფინანსებდეს არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ ყველა პასუხი.]

საქართველოს მთავრობა	1
ოპოზიცია	2
ქართველი ბიზნესმენები	3
უცხოელი ბიზნესმენები	4
ჩვეულებრივი მოქალაქეები	5
უცხოეთი	6
ამერიკა	7
ევროკავშირი	8
რუსეთი	9
საერთაშორისო ორგანიზაციები	10
თვითონ არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზაციების წევრები	11
სხვა *(ჩაწერეთ)* _____	12
(არავინ/არ არის საჭირო მათი დაფინანსება)	-4
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

დიდი მადლობა, რომ გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ. ახლა დაგისვამთ რამდენიმე კითხვას ევროკავშირის შესახებ.

31. **ხვალ რომ ტარდებოდეს რეფერენდუმი საქართველოს ევროკავშირში შესვლის შესახებ, პირადად თქვენ დაუჭერდით თუ არა მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?**

მხარს დავუჭერდი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას	1
არ დავუჭერდი მხარს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას	2
(არ მივიღებდი მონაწილეობას რეფერენდუმში)	3
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

32. [ბარათი 32] **გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ...**

		საერთოდ არ ეთანხმები	უფრო არ ეთანხმები, ვიდრე ეთანხმები	უფრო ეთანხმები, ვიდრე არ ეთანხმები	სრულად ეთანხმები	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	**ევროკავშირი ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქვეყნებში.**	1	2	3	4	-1	-2
2	**ევროკავშირი ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას.**	1	2	3	4	-1	-2
3	**ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში.**	1	2	3	4	-1	-2

4	ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს.	1	2	3	4	-1	-2
5	ევროკავშირი იმპერიის ახალი ფორმაა.	1	2	3	4	-1	-2
6	ევროკავშირის ქვეყნებს არანაკლები პრობლემები აქვთ, ვიდრე საქართველოს.	1	2	3	4	-1	-2

33. **ახლა, თუ შეიძლება, რამდენიმე კითხვას დაგისვამთ კომპანიების შესახებ. საუბარია ყველა კომპანიაზე, რომელიც აწარმოებს ან რეალიზაციას უკეთებს პროდუქციას ან სთავაზობს მოსახლეობას ნებისმიერ მომსახურებას მატერიალური მოგების მიღების მიზნით. რეკლამას თუ არ ჩავთვლით, ყველაზე ხშირად რომელი წყაროებიდან იღებთ ინფორმაციას საქართველოში მოქმედი კომპანიების საქმიანობის შესახებ?**

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! საუბარია ყველა (მათ შორის, ტრანსნაციონალური) კომპანიის შესახებ, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ. „საქმიანობაში“ არ იგულისხმება რეკლამა. არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ არა უმეტეს ორი პასუხისა.]

1	ტელევიზიით
2	ინტერნეტით, სოციალური ქსელების გარდა
3	სოციალური ქსელების მეშვეობით (მაგ., ფეისბუქი)
4	რადიოთი
5	გაზეთებიდან
6	ნაცნობებისგან
7	კომპანიის თანამშრომლებისგან
8	სხვა
-5	*(რეკლამის გარდა, ინფორმაციას არ ვიღებ)*
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

34. ისურვებდით თუ არა მეტი ინფორმაციის მიღებას საქართველოში მოღვაწე კომპანიების შესახებ, კერძოდ:

		დიახ	არა	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	ვინ არიან ამა თუ იმ კომპანიის მფლობელები/მეწილეები?	1	0	-1	-2
2	რამდენი იყო ამა თუ იმ კომპანიის მოგება გასულ წელს?	1	0	-1	-2
3	როგორ ექცევა კომპანია თანამშრომლებს?	1	0	-1	-2
4	ვის დაეხმარა კომპანია თავისი საქველმოქმდეო საქმიანობით?	1	0	-1	-2
5	როგორ შეარჩია კომპანიამ საქველმოქმედო დახმარების მიმღებები?	1	0	-1	-2
6	რა პროგრამები განახორციელა კომპანიამ საზოგადოების საკეთილდღეოდ?	1	0	-1	-2
7	რა ზიანს აყენებს კომპანია გარემოს?	1	0	-1	-2
8	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რა პროგრამები განახორციელა კომპანიამ?	1	0	-1	-2
9	პროდუქციის მწარმოებელი ან რეალიზატორი კომპანიის შემთხვევაში, როგორია წარმოებული ან სარეალიზაციო პროდუქციის შემადგენლობა და ხარისხი?	1	0	-1	-2

35. თქვენი აზრით, ზოგადად, შეიძლება თუ არა ითქვას ქართული კომპანიების შესახებ, რომ ისინი ...

		დიახ	არა	*(არ ვიცი)*	*(უარი პასუხზე)*
1	ზრუნავენ გარემოზე?	1	0	-1	-2
2	ზრუნავენ უმუშევართა დასაქმებაზე?	1	0	-1	-2
3	ეწევიან ქველმოქმედებას?	1	0	-1	-2
4	იცავენ საკუთარი თანამშრომლების უფლებებს?	1	0	-1	-2
5	ზრუნავენ ქართული ტრადიციების დაცვაზე?	1	0	-1	-2
6	ზრუნავენ საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე?	1	0	-1	-2
7	მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ზრუნავენ?	1	0	-1	-2
8	საზოგადოებისთვის სიკეთე მოაქვთ?	1	0	-1	-2
9	ზრუნავან მომხმარებლების ინტერესებზე?	1	0	-1	-2
10	მოგების მიღების მიზნით კორუფციულ გარიგებებში შედიან მთავრობასთან?	1	0	-1	-2

36. **გთხოვთ, წარმოიდგინოთ, რომ უნდა გააკეთოთ არჩევანი ორ მსგავს პროდუქტს შორის, რომელთა ხარისხი და ფასი არ განსხვავდება. რომელი ფაქტორები იქნება გადამწყვეტი, თუ რომელ პროდუქტს შეიძენთ?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. შეუსაბამეთ. მიიღეთ არა უმეტეს ორი პასუხისა.]

1	რომლის რეკლამაც უფრო მომწონს
2	რომელსაც უფრო მიმზიდველი შეფუთვა ან გაფორმება აქვს
3	რომელიც წარმოებულია საქართველოში
4	რომელიც წარმოებულია საზღვარგარეთ
5	რომლის მწარმოებელი კომპანიაც ცნობილია თავისი ქველმოქმედებით
6	რომლის მწარმოებელი კომპანიაც ცნობილია იმით, რომ გარემოზე ზრუნავს
7	რომელიც წარმოებულია იმ კომპანიის მიერ, სადაც ჩემი ახლობელი მუშაობს
8	რომელიც წარმოებულია ისეთი კომპანიის მიერ, სადაც თანამშრომლებს უკეთესი სამუშაო პირობები აქვთ
9	რომლის მწარმოებელი კომპანიაც არასოდეს ყოფილა კორუფციული გარიგების მონაწილე
10	რომელიც წარმოებულია ისეთი კომპანიის მიერ, რომელიც საზოგადოებისთვის საკეთილდღეო პროგრამებს ახორციელებს (მაგალითად, სკოლების და გზების რემონტი, ჯანდაცვა)
11	რასაც ახლობელი მირჩევს
12	სხვა
-5	*(რომელიც ხელში მომხვდება / არ მივაქცევ ყურადღებას / სულ ერთია)*
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

37. ყოფილა თუ არა შემთხვევა, რომ მას შემდეგ, რაც გაიგეთ, რომ რომელიმე კომპანიამ თქვენთვის მიუღებელი რამ ჩაიდინა (მაგალითად, გარეულია კორუფციულ გარიგებებში, ან ზიანს აყენებს გარემოს), თქვენ უარი თქვით ამ კომპანიის პროდუქციის შეძენაზე, ან მისი მომსახურებით სარგებლობაზე?

დიახ	1
არა	0
(მინდოდა ამის გაკეთება/ მიფიქრია ამაზე, მაგრამ არ გავაკეთე)	-4
(არაფერი მსგავსი არ მსმენია არცერთი კომპანიის შესახებ)	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

38. [ბარათი 38, როტაცია] **ადამიანებს სხვადასხვა აზრი აქვთ, თუ როგორი კომპანია წარმოადგენს კარგ კომპანიას. მოდით, წარმოვიდგინოთ კომპანია „ალოე“, რომელიც ათი წელია, საქართველოს ბაზარზეა. კომპანია აწარმოებს ბევრი სახეობის საპონს ოჯახებისთვის, სასტუმროებისთვის, საავადმყოფოებისთვის და ა.შ. კომპანიის პროდუქცია იყიდება ყველა დიდ სუპერმარკეტსა და აფთიაქში. ბოლო წლების მანძილზე კომპანიის ბრუნვა წელიწადში დაახლოებით 800 ათასი ლარია. ამ ბარათის მეშვეობით, გთხოვთ, მითხრათ, თქვენთვის რომელი სამი ფაქტორი იქნება გადამწყვეტი, რათა ეს კომპანია კარგ კომპანიად ჩათვალოთ?**

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ**</u>! საჭიროების შემთხვევაში ხაზი გაუსვით, რომ ეს კომპანია რეალურად არ არსებობს. მიიღეთ არა უმეტეს სამი პასუხისა.]

1	კომპანიას მიმზიდველი სარეკლამო კამპანია აქვს
2	კომპანია გარემოზე ზრუნავს
3	კომპანია ხარისხიან პროდუქციას აწარმოებს
4	კომპანიის ხელმძღვანელები პატიოსანი ადამიანები არიან
5	კომპანია საკუთარ თანამშრომლებზე ზრუნავს
6	კომპანია ადგილობრივ ნედლეულს იყენებს წარმოებაში
7	კომპანია საქართველოს მოქალაქეებს ასაქმებს
8	კომპანია პატიოსნად იხდის გადასახადებს
9	კომპანია დაარსებულია უცხოელი ინვესტორ(ებ)ის მიერ
10	კომპანიაში ჩადებულია მხოლოდ ქართული კაპიტალი
11	კომპანია თანამედროვე ტექნოლოგიებს ნერგავს საქართველოში
12	კომპანიის თანამშრომლები თავისი საქმის პროფესიონალები არიან
13	კომპანია ახორციელებს საქველმოქმედო პროექტებს
14	კომპანია ახორციელებს საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტებს
15	კომპანიის საქმიანობა გამჭვირვალეა
16	კომპანია არასოდეს ყოფილა გახვეული კორუფციულ გარიგებაში
17	ფასები კომპანიის პროდუქციაზე ხელმისაწვდომია
18	სხვა
-5	*(არცერთი)*

-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

ვიგნეტები ორგანიზაციების ტიპისთვის

ა) მცირე ბიზნესი [დასაქმებულთა რ-ნობა ნაკლებია 20-ზე ან წლიური ბრუნვა არ აღემატება 0.5 მლნ. ლარს]

VN1. ლალის გახსნილი აქვს სამკერვალო სახელოსნო, სადაც იგი თავად მუშაობს. ლალის გარდა, სახელოსნოში კიდევ ორი მკერავია დასაქმებული. ლალის სახელოსნოს შემოსავალი თვეში საშუალოდ 2000 ლარს შეადგენს. ეს თანხა ძირითადად შრომის ანაზღაურებაში, მასალების შესაძენად და საკერავი მანქანების რემონტში იხარჯება. ლალის სახელოსნო მცირე ბიზნესად ითვლება.

ბ) საშუალო ბიზნესი [საშუალო ბიზნესი: დასაქმებულთა რ-ნობა 20-100 კაცს შორის მერყეობს ან წლიური ბრუნვა უდრის 0.5-1.5 მლნ. ლარს]

VN2. შპს ,,გზამშენის" ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მუნიციპალური საავტომობილო გზების დაგება და არსებული გზების რემონტი. ,,გზამშენი" წელიწადში დაახლოებით 1 მლნ. ლარის შეკვეთებს ასრულებს. კომპანიაში 35 ადამიანია დასაქმებული სრულ განაკვეთზე. შპს ,,გზამშენი" საშუალო ზომის ბიზნესად ითვლება.

გ) მსხვილი ბიზნესი [მსხვილი ბიზნესი: დასაქმებულთა რ-ნობა 100 კაცს აღემატება ან წლიური ბრუნვა აღემატება 1.5 მლნ. ლარს]

VN3. სააქციო საზოგადოება ,,ცისარტყელა'' ქვეყნის მასშტაბით საცალო ვაჭრობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქსელია, რომლის 20-მდე სავაჭრო წერტილში ჯამში 400 ადამიანი მუშაობს. ,,ცისარტყელას'' წლიური შემოსავალი დაახლოებით 40 მლნ. ლარია. კომპანია მსხვილ ბიზნესად ითვლება.

39. [ბარათი 39] [საწარმოს აღწერა, რიგრიგობით ვიგნეტები, 3 კითხვა] **თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვან ან უმნიშვნელო როლს თამაშობენ მსგავსი კომპანიები საქართველოს განვითარებაში?**

ძალიან მნიშვნელოვან როლს	1
საკმაოდ მნიშვნელოვან როლს	2
საშუალო როლს	3
საკმაოდ უმნიშვნელო როლს	4
ძალიან უმნიშვნელო, ან არავითარ როლს	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტი კომპანია გამოირჩევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით. მოკლედ რომ ვთქვათ, **[ბარათი 40] კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს კომპანიის მიერ კანონმდებლობის მიღმა აღებულ პასუხისმგებლობას, იზრუნოს არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაზე, გაჭირვებულების დახმარებაზე, გარემოს დაცვაზე, აგრეთვე - საკუთარ თანამშრომლებზე. ინერგება მოდელი, რომლის თანახმადაც ბიზნესი სულ უფრო დიდ როლს თამაშობს საზოგადოების განვითარებაში.**

40. გსმენიათ თუ არა დღემდე **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის** შესახებ?

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ**</u>! გამოიყენეთ ბარათი 40 საჭიროების შემთხვევაში.]

დიახ	1	
არა	0	გადადით კითხვაზე **47**
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

41. თქვენი აზრით, არის თუ არა ამჟამად საქართველოში კომპანიები, რომელთა საქმიანობაც **კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით** ხასიათდება?

დიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

42. [ბარათი 42, ვიგნეტები] **თქვენი აზრით, რომელი ტიპის კომპანიებს ან მეწარმეებს უნდა მოეთხოვებოდეს ყველაზე მეტად, იზიარებდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს -- მსხვილ, საშუალო თუ წვრილ ბიზნესს? შეგახსენებთ, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში ვგულისხმობთ კომპანიის მიერ კანონმდებლობის მიღმა აღებულ პასუხისმგებლობას, იზრუნოს არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, არამედ აგრეთვე საზოგადოებაზე.**

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ**</u>! მიიღეთ ყველა პასუხი.]

1	მცირე ბიზნესს
2	საშუალო ბიზნესს
3	მსხვილ ბიზნესს
-4	*(არცერთს)*
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

43. [ბარათი 43] **როდესაც კომპანია არის სოციალურად პასუხისმგებელი და საკუთარი მოგების გარდა საზოგადოების განვითარებაზეც ზრუნავს, თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა რატომ აკეთებს ის ამას?**

[**<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>!** მიიღეთ მაქსიმუმ სამი პასუხი.]

1	მეტი კლიენტის მოზიდვას ცდილობს, ეს მისი რეკლამაა
2	ცდილობს, კარგი რეპუტაცია შეიქმნას
3	ეს კანონის / მთავრობის მოთხოვნაა
4	ეს არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნაა
5	ეს საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნაა
6	ეს მისი უცხოელი პარტნიორების მოთხოვნაა
7	გულწრფელად სურს, მოაგვაროს მოსახლეობის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემები
8	ზრუნავს თანამშრომელთა კეთილდღეობაზე
9	ზრუნავს საზოგადოებაზე
10	უნდა, რომ მთავრობასთან უკეთესი ურთიერთობა ჰქონდეს
11	სხვა
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

44. [ბარათი 44] **და თუ კომპანია არ არის სოციალურად პასუხისმგებელი, თქვენი აზრით, რატომ?**

[**<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ!</u>** მიიღეთ არა უმეტეს ორი პასუხისა.]

1	თვლის, რომ ეს მას სარგებელს არ მოუტანს
2	თვლის, რომ ეს არ აინტერესებს ხალხს
3	მთავრობა ხელს არ უწყობს ბიზნესს ამაში
4	ეს ბიზნესის საქმე არ არის
5	კომპანიას არ აქვს სათანადო სახსრები
6	სხვა (*მიუთითეთ:* _____)
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

45. [ბარათი 45] **გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?**

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! მას შემდეგ, რაც რესპონდენტი აარჩევს მოსაზრებას, შეეკითხეთ: "**თქვენ სრულად ეთანხმებით ამ მოსაზრებას თუ უბრალოდ ეთანხმებით მას?**" მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი.]

<u>მოსაზრება 1:</u> კომპანიებმა ისეთი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები უნდა განახორციელონ, რომლებიც შედეგს გრძელვადიან პერსპექტივაში მოიტანს და ღრმა გავლენა ექნება საზოგადოების განვითარებაზე.		<u>მოსაზრება 2:</u> კომპანიებმა ისეთი საქველმოქმედო საქმიანობა უნდა განახორციელონ, რომლის შედეგადაც რაც შეიძლება სწრაფად დაეხმარებიან კონკრეტულ გაჭირვებულ ადამიანებს, თუნდაც ამ საქმიანობის გავლენა საზოგადოებაზე არ იყოს განსაკუთრებით ღრმა.	
სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	*ვეთანხმები პირველ მოსაზრებას*	*ვეთანხმები მეორე მოსაზრებას*	*სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას*
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ!] *არცერთს არ ვეთანხმები*		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

46. **თქვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, ვინ უნდა დაარწმუნოს ქართული კომპანიები, რომ მათ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები განახორციელონ?**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! არ წაუკითხოთ პასუხის ვარიანტები. მიიღეთ არა უმეტეს ორი პასუხისა.]

1	ხალხმა
2	არასამთავრობო ორგანიზაციებმა
3	კომპანიების რიგითმა თანამშრომლებმა
4	სახელმწიფომ
5	ევროკავშირმა
6	კომპანიის უცხოელმა პარტნიორებმა / ინვესტორებმა
7	სხვა
-4	*(კომპანიების ხელმძღვანელობა თავად უნდა იყოს ამით დაინტერესებული)*
-6	*(არ უნდა იყოს საჭირო კომპანიების დარწმუნება ამაში / არავინ)*
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

47. [ბარათი 47, როტაცია] **გთხოვთ, გაიხსენოთ კომპანია „ალოე“, რომელიც საპონს აწარმოებს. ამ ბარათზე მოყვანილი საკითხებიდან, უპირველეს ყოვლისა რომლებს უნდა მიაქციოს კომპანიამ ყველაზე დიდი ყურადღება მომხმარებლებთან ურთიერთობისას?**

[<u>**ინტერვიუერის საყურადღებოდ**</u>**!** მიიღეთ მაქსიმუმ ორი პასუხი. თუ რესპონდენტს არ ახსოვს ეს კომპანია, გაუმეორეთ მისი აღწერა: „**კომპანია „ალოე“ უკვე ათი წელია, საქართველოს ბაზარზეა. კომპანია აწარმოებს ბევრი სახეობის საპონს ოჯახებისთვის, სასტუმროებისთვის, საავადმყოფოებისთვის და ა.შ. კომპანიის პროდუქცია იყიდება ყველა დიდ სუპერმარკეტსა და აფთიაქში. ბოლო წლების მანძილზე კომპანიის ბრუნვა წელიწადში დაახლოებით 800 ათასი ლარია.**“]

1	კომპანიამ მომხმარებელს მრავალფეროვანი არჩევანი უნდა შესთავაზოს
2	კომპანიამ უნდა უზრუნველყოს შეძლებისდაგვარად ხელმისაწვდომი ფასები თავის პროდუქციაზე
3	პროდუქციაზე არსებული წარწერა უნდა ასახავდეს მის შემადგენლობას
4	კომპანიის მიერ გავრცელებულ რეკლამას მომხმარებელი შეცდომაში არ უნდა შეყავდეს
5	კომპანია დროულად და საფუძვლიანად უნდა პასუხობდეს მომხმარებლების კითხვებზე და პრეტენზიებზე
6	სხვა
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

დიდი მადლობა თქვენი პასუხებისთვის საქართველოში მოქმედი კომპანიების შესახებ. ინტერვიუს დასასრულს რამდენიმე კითხვას დაგისვამთ თქვენს შესახებ.

48. **გთხოვთ მითხრათ, რამდენად ხშირად სარგებლობთ ინტერნეტით? თქვენ სარგებლობთ ინტერნეტით ...** [წაიკითხეთ]

ყოველდღე,	1
კვირაში ერთხელ მაინც,	2
თვეში ერთხელ მაინც,	3
უფრო იშვიათად,	4
თუ არასდროს?	5
[**არ წაუკითხოთ!**] *არ ვიცი, რა არის ინტერნეტი*	6
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

49. [ბარათი 49] **ამ ჩამონათვალიდან, რა უფრო შეესაბამება ამჟამად თქვენს მდგომარეობას? გთხოვთ, მითხარით ის საქმიანობა, რომელიც თქვენთვის ძირითადია.**

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! მხოლოდ <u>ერთი</u> პასუხი, რომელიც შეესაბამება რესპონდენტის ძირითად საქმიანობას.]

ვარ პენსიონერი და <u>**არ**</u> ვმუშაობ	1	გადასვლა კითხვაზე 52
ვარ სტუდენტი და <u>**არ**</u> ვმუშაობ	2	
ვარ დიასახლისი და <u>**არ**</u> ვმუშაობ	3	
ვარ უმუშევარი	4	
ვმუშაობ სრულ ან ნახევარ განაკვეთზე (მაშინაც, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	5	
ვარ თვითდასაქმებული (მაშინაც, როდესაც რესპონდენტი პენსიაზეა / სტუდენტია), სეზონური სამუშაოს ჩათვლით	6	
ვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი და მუშაობა არ შემიძლია	7	გადასვლა კითხვაზე 52
სხვა	8	
(არ ვიცი)	-1	
(უარი პასუხზე)	-2	

50. [ბარათი 50] **მხოლოდ თქვენი ძირითადი სამსახურის შესახებ თუ ვისაუბრებთ, რა უფრო შეესაბამება თქვენს სამსახურებრივ სტატუსს და სამსახურის ტიპს?**

[ინტერვიუერის საყურადღებოდ! თუ რესპონდენტს რამდენიმე სამსახური აქვს, კითხვები 50 და 51 ეხება მხოლოდ მის ძირითად სამსახურს. რესპონდენტმა თავად უნდა განსაზღვროს, რომელია მისი ძირითადი სამსახური. მხოლოდ ერთი პასუხი.]

ვუძღვები საკუთარ ბიზნესს / ვარ თვითდასაქმებული დაქირავებული თანამშრომლების გარეშე, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ჩათვლით.	1
ვუძღვები საკუთარ ბიზნესს / ვარ თვითდასაქმებული და მყავს დაქირავებული თანამშრომლები, მიწის ნაკვეთზე მუშაობის ჩათვლით.	2
ვარ დაქირავებული მუშაკი მცირე ადგილობრივ საოჯახო ბიზნესში / საოჯახო საწარმოში.	3
ვარ დაქირავებული მუშაკი საშუალო ან დიდი ზომის ადგილობრივ კერძო ორგანიზაციაში, კომპანიაში ან საწარმოში.	4
ვარ დაქირავებული მუშაკი სახელმწიფო ორგანიზაციაში, კომპანიაში ან საწარმოში.	5
ვარ დაქირავებული მუშაკი უცხოურ ან საერთაშორისო ბიზნეს-კომპანიაში ან ერთობლივ საწარმოში.	6
ვარ დაქირავებული მუშაკი ადგილობრივ ან საერთაშორისო არასამთავრობო / არაკომერციულ ორგანიზაციაში.	7
სხვა	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

51. **აქვს თუ არა ამჟამად თქვენს ორგანიზაციას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა, თუ ეს თქვენ არ გეხებათ?**

1	გვაქვს
2	არ გვაქვს
3	არ გვეხება
-1	*(არ ვიცი)*
-2	*(უარი პასუხზე)*

52. [ბარათი 52] **გასულ თვეში თქვენი ოჯახის ფულად შემოსავალზე თუ ვისაუბრებთ, დაქვითვის შემდეგ, ამ ბარათზე მოყვანილ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება თქვენი ოჯახის შემოსავალი? გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემოსავლის ყველა წყარო, რაც თქვენი ოჯახის ყველა წევრს ჰქონდა გასულ თვეში.**

1600 ლარზე მეტი	1
1201 – 1600 ლარი	2
801 – 1200 ლარი	3
501 – 800 ლარი	4
301 – 500 ლარი	5
181 - 300 ლარი	6
180 ლარამდე	7
(0)	8
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

53. [ბარათი 53] **ამ ბარათზე ჩამოთვლილთაგან, რა უფრო კარგად აღწერს თქვენი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას?**

ფული არ გვყოფნის საკვებზე.	1
ფული გვყოფნის მხოლოდ საკვებზე, მაგრამ არ გვყოფნის ტანსაცმელზე.	2
ფული გვყოფნის საკვებზეც და ტანსაცმელზეც, მაგრამ არ გვაქვს საშუალება, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა.	3
საშუალება გვაქვს, შევიძინოთ ძვირადღირებული საყოფაცხოვრებო ნივთები, როგორებიცაა მაცივარი ან სარეცხი მანქანა.	4
საშუალება გვაქვს, შევიძინოთ ყველაფერი, რაც გვჭირდება.	5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

54. [ბარათი 54] **ამ ბარათზე მოყვანილთაგან, რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს?**

დაწყებითი განათლება (დასრულებული ან დაუსრულებელი).	1
არასრული საშუალო განათლება.	2
სრული საშუალო განათლება.	3
საშუალო ტექნიკური / საშუალო სპეციალური განათლება.	4
არასრული უმაღლესი განათლება.	5
უმაღლესი განათლება (ბაკალავრის, მაგისტრის ან სპეციალისტის დიპლომი).	6
სამეცნიერო ხარისხი.	7
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

დიდი მადლობა!

გთხოვთ, მხედველობაში იქონიოთ, რომ მსგავსი გამოკითხვების დროს ჩატარებული ინტერვიუების ნაწილი კვლევითი ცენტრის წარმომადგენლების მიერ მოწმდება. წინასწარ არ ვიცით, თუ რომელი ინტერვიუ შემოწმდება – ასეთი ინტერვიუების შერჩევა შემთხვევით ხდება. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუ ჩვენი ცენტრის წარმომადგენელმა მოგმართათ ინტერვიუს ჩატარების ფაქტის გადამოწმების მიზნით.

ასეთი შემოწმების ერთადერთი მიზანია, დავრწმუნდეთ, რომ ინტერვიუ ჩატარდა პროფესიული სტანდარტების შესაბამისად. ამ კონტროლის მიუხედავად გარწმუნებთ, რომ ყველა თქვენი პასუხი კონფიდენციალური დარჩება.

დიდი მადლობა!

T3. ინტერვიუს დასრულების დრო: |_____|_____| |_____|_____|

საათი წუთი

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! გამოიყენეთ 24-საათიანი ფორმატი.]

[<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>! ინტერვიუს დამთავრებისთანავე შეავსეთ ინტერვიუს შეფასების ფორმა.]

ინტერვიუს შეფასების ფორმა

W1. თქვენი და რესპონდენტის გარდა, შეეძლო თუ არა კიდევ ვინმეს რესპონდენტის პასუხების მოსმენა?

დიახ, მთელი ინტერვიუს დროს.	1
დიახ, უმეტესი დროის განმავლობაში.	2
დიახ, ინტერვიუს მსვლელობის ნახევარზე ნაკლები დროის განმავლობაში.	3
დიახ, სულ რამდენიმე კითხვის შემთხვევაში.	4
არა.	5

W2. რამდენად ხშირად შეუშალეს ხელი რესპონდენტს ინტერვიუს მსვლელობისას – მაგალითად, მას მოუწია სატელეფონო ზარზე პასუხის გაცემა ან დარეკვა, ოჯახის წევრისთვის ან მეზობლისთვის რამის თქმა და ა.შ.? [მონიშნეთ <u>ერთი</u> პასუხი.]

არასდროს.	1
სულ რამდენიმე კითხვის შემთხვევაში (10 კითხვაზე ნაკლების).	2
არც ისე ბევრი კითხვის შემთხვევაში (დაახლოებით 10-დან 20-მდე).	3
საკმაოდ ბევრი კითხვის შემთხვევაში, მაგრამ კითხვების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლების შემთხვევაში.	4
კითხვების უმრავლესობის, ან ყველა კითხვის შემთხვევაში.	5

W3. რამდენად ხშირად გქონდათ იმის შეგრძნება, რომ რესპონდენტს არ ესმოდა, რას ეკითხებოდით?

არასდროს.	1
სულ რამდენიმე კითხვის შემთხვევაში (10 კითხვაზე ნაკლების).	2
არც ისე ბევრი კითხვის შემთხვევაში (დაახლოებით 10-დან 20-მდე).	3
საკმაოდ ბევრი კითხვის შემთხვევაში, მაგრამ კითხვების საერთო რაოდენობის ნახევარზე ნაკლების შემთხვევაში.	4
კითხვების უმრავლესობის, ან ყველა კითხვის შემთხვევაში.	5

W4. რამდენად ხშირად გქონდათ იმის შეგრძნება, რომ რესპონდენტს არ სურდა ბარათების გამოყენება (თავად წაკითხვა)?

ასეთი რამ არ მომხდარა, რესპონდენტი სულ იყენებდა ბარათებს.	1
მხოლოდ რამდენიმე ბარათის შემთხვევაში (10-ზე ნაკლების).	2
რამდენიმე ბარათის შემთხვევაში, მაგრამ არა ბევრის (ბარათების დაახლოებით 25%-ის).	3
ბარათების საკმაოდ დიდი რაოდენობის შემთხვევაში, თუმცა ნახევარზე ნაკლების შემთხვევაში.	4
ბარათების ნახევარზე მეტის, ან ყველა ბარათის შემთხვევაში.	5

W5. **სკალაზე ‘1’-დან ‘5’-მდე, როგორ შეაფასებდით რესპონდენტის ინტელექტს?**

საერთოდ არ იყო ჭკვიანი	1
არც ისე ჭკვიანი	2
საშუალო	3
ჭკვიანი	4
ძალიან ჭკვიანი	5

W6. **როგორ შეაფასებდით რესპონდენტის გულწრფელობას?**

საერთოდ არ იყო გულწრფელი										სრულიად გულწრფელი იყო
0	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**

W7. **რამდენად დაღლილი იყო რესპონდენტი ინტერვიუს ბოლოს?**

ძალიან დაღლილი იყო										საერთოდ არ იყო დაღლილი
0	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**

W8. **ინტერვიუს ხანგრძლივობის უმეტეს დროზე თუ ვილაპარაკებთ, სულ რამდენი ადამიანი ესწრებოდა ინტერვიუს თქვენი და რესპონდენტის <u>ჩათვლით</u>?**

_____

დიდი მადლობა!